

# დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნური ფორმების გადმოცემისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში

(მარჯორი უორდროპის, ლინ კოფინისა და დოდონა კიზირიას  
თარგმანების მიხედვით)<sup>1</sup>

## მაგული ღამბაშიძე

დეონტური სემანტიკა ერთ-ერთი სახეა მოდალობის კატეგორიისა, რომელიც გამოხატავს მორალურად პასუხისმგებელი აგენტების მიერ შესასრულებელი ქმედებების აუცილებლობას შესაძლებლობის დონეზე (Lyons: 1977, 823). ფ. რ. პალმერი დეონტურ მოდალობას განიხილავს როგორც „დისკურსზე ორიენტირებულს“, რადგან, ავტორის აზრით, დეონტური სემანტიკა გულისხმობს მოლაპარაკესაც და ადრესატსაც ერთდროულად (Palmer, 1999, 36). ამასთანავე, დეონტური მოდალური სემანტიკის წინადადებებში ვალდებულების ან ნებართვის უშუალოდ გამცემი, შეიძლება სულაც არ იყოს მოსაუბრე. ვალდებულება ან ნებართვა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვა პირს, ინსტიტუციას, კანონს, მორალურ კოდექსსა და სხვ. (Han, 2005).

დეონტური მოდალობა სემანტიკურად ძალზე მრავალფეროვანია, გულისხმობს სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს, როგორებიცაა: ბრძანება/აკრძალვა, ნებართვა/ნების დაურთველობა, უფლების ქონა/უფლების უქონლობა, ვალდებულება, იძულება, მუქარა, მოთხოვნა, თხოვნა, გაფრთხილება, განკარგულება, მითითება, მოწოდება, შეგონება... (Lyons, 1977; Coates, 1983; Palmer, 1999; Portner, 2009).

დეონტურ მოდალურ ნიუანსთა ნაირგვარობის გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ ამ სემანტიკების გამოსახატავად ენებს არაერთი გრამატიკული და ლექსიკური საშუალება აქვთ. ძველ ქართულ ენაში სხვადასხვა დეონტური შინაარსის გადმოსაცემად გრამატიკული საშუალებებიდან გამოიყენებოდა ბრძანებითის სპეციალური მწკრივები – I ბრძანებითი და II ბრძანებითი, სხვადასხვა მწკრივის ფორმითა და ნაწილაკით მიღებული კონსტრუქციები. დეონტური მნიშვნელობის ლექსიკური ფორმებიდან აღსანიშნავია რთული (კვლ-ეწი-

---

<sup>1</sup> კვლევა [PHDF-21-3543] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით/This research [PHDF-21-3543] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

ფების, ძალ-უძს/უც, ჯერ-არს, ზედა-აც, თანა-აც) და მარტივი (კამს/ხამს, შუენის, შეკვავს, მართებს, ეგების, ღირს, უფლიედ, შეუძლია, შეიძლების/შეიძლება, უნდა, ევალება) ზმნის ფორმები (დამბაშიძე: 2022, 6). ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული დეონტური სემანტიკის გამომხატველი რთული და მარტივი ზმნები და მათი შესატყვისები პოემის ინგლისურ თარგმანებში.

მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილისადმი. ცხადია, სინამდვილისადმი დამოკიდებულების გამოხატვას კონტექსტუალურად მეტად ვხვდებით საერო მწერლობის ძეგლებში, რომლის სათავეშიც დგას „ვეფხისტყაოსანი“, არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც, რაც არაერთხელაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო იყო, გამოგვევლინა, რომელი მოდალური ზმნები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“<sup>2</sup> და როგორ ხდება მათი გადმოცემა ინგლისურ თარგმანებში.<sup>3</sup>

ზოგადად, ძველ ქართულში ანალიზური და სინთეზური წარმოების ფორმები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნელ, ისე ორიგინალურ ტექსტებში (ქავთარაძე: 1964, 165), თუმცა უკვე ძველ ქართულში შეინიშნება ანალიზური ფორმების სინთეზურით ჩანაცვლების ტენდენცია. ანალიზური წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს სინთეზურ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე: 1964, 162).

რამდენადაც მარტივი ზმნური ფორმების გააქტიურება ძველი ქართულიდანვე იწყება, მოდალური სემანტიკის გამომხატველ რთულ ზმნათა გამომხატველობითი ძალა საშუალო ქართულიდან თანდათან შესუსტდა (დამბაშიძე: 2020, 29). ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება ერთადერთი რთული ზმნა და ისიც მხოლოდ ერთხელ:

*„ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა“* [რუსთ. 1122:1].

*“We great merchants are bound to take presents to court”* [უორ. 1101:1].

*“We great merchants are bound to take rich presents to the king and queen”* [კოფ. 1130:1].

<sup>2</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი და ვარიანტები (ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით), თბ., 1966.

<sup>3</sup> ინგლისური თარგმანები: The Man in the Panther’s Skin, A Romantic Epic by Shotha Rusthaveli, a Close Rendering from the Georgian. Attempted by Marjory Scott Wardrop, London, 1912. Preface by O. Wardrop; Rustaveli Sh., The Knight in the Panther Skin, New Translation by Lyn Coffin, Tbilisi, 2015; დ. კიზირიას პწკარედულად შესრულებული თარგმანის ელექტრონული ვერსია.

*“We great merchants **are bound** to take presents to court”* [კიზ. 1100:1].

**ზედა-დება**, ი. აბულაძის თანახმად, ნიშნავს „კისრებას“ (აბულაძე: 1973, 163). ქართული რთული ზმნის შესატყვისად „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანებიც დეონტურ შინაარსს აღწერითად გადმოსცემენ: **are bound. Bound** დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში<sup>4</sup> განმარტებულია, როგორც „დავალდებულება“, „დაკისრება“, შესაბამისად, საქმე გვაქვს ადეკვატურ თარგმანთან, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

მარტივ ზმნათა გააქტიურების პროცესი გრძელდება და მეტად საინტერესო სახეს იღებს საშუალო ქართულში, რაც, თავისთავად, ასახულია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში.

„ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ მარტივ ზმნათაგან ერთ-ერთია **შუენის**, რომლის პირიანი ფორმები ძველ ქართულში V საუკუნიდან დასტურდება. **შუენის** ზმნა დეონტური შინაარსით „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება და გამომხატავს **შესაფერისობას**, რასაც ასახავს მისი სალექსიკონო განმარტებაც: „შუენება – ხლომა, შეფერება, დამშვენება“ (აბულაძე: 1973, 508):

*„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;*

*სიარული, მარტოობა **ჰშუენის**, გაჭრად დაეთვლებს“* [რუსთ. 31:2].

*“if the lover weep for his beloved, tears are her (? his) due.*

*Wandering and solitude **befit** him, and must be esteemed as roaming”* [უორ. 31:2].

*“If the lover cries and weeps for his love, tears are the lover's due*

*Solitude suits him, the roaming of plains and forests **suits** him, too”* [კოფ. 32:2].

მოცემული კონტექსტით **ჰშუენის** ფორმა ინგლისურ თარგმანებში სინონიმური მარტივი ზმნური ფორმებითაა წარმოდგენილი: **ჰშუენის - befit=suit** (შესაფერისია, შეეფერება<sup>5</sup>).

დეონტური სემანტიკით **შუენის** ზმნა წერილობით ძეგლებში მთელი საშუალო ქართულის პერიოდში ჩანს, იშვიათად ის ახალ ქართულშიც კი დასტურდება უმეტესწილად არქაიზებულ მეტყველებაში.

<sup>4</sup> დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

<sup>5</sup> დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

X საუკუნიდან ძველსა და საშუალო ქართულში დეონტურ მოდალურ სემანტიკას გამოხატავდა ასევე **მართებს** („მართება/მართვა-მიმართვა, წარმართვა; შეშნობა“ (აბულაძე: 1973, 216) ზმნა. საშუალო ქართულიდან აღნიშნული ზმნის სემანტიკა ფართოვდება, ვალდებულება მატერიალურ ხასიათს იძენს („მართება – ვალად ეღვას“ (საბა: 1949, 153) და ვალის ქონაზე მიუთითებს, თუმცა ამ ზმნის შემთხვევაში ახალი ლექსიკური მნიშვნელობით დატვირთვას არ გამოუწვევია მისი თავდაპირველი ფუნქციის გაფერმკრთალება და გაქრობა. „ვეფხისტყაოსანში“ **მართებს** ზმნის პირიან ფორმებს ვადასტურებთ **ვალდებულება-შესაფერისობის** დეონტური მოდალური სემანტიკით:

„ტარიელ ბრძანა: „*მე მმართებს დღეს თქვენი მასპინძელობა*“ [რუსთ. 1496:1].

“Tariel said: “It is seemly that I **should** be your host this day” [უორ. 1472:1].

“Tariel said: “It is seemly that I **should** be your host this day” [კოფ. 1503:1].

“Tariel said: “It is seemly that I **should** be your host this day” [კიზ. 1472:1].

„ასი **გმართებს** გავონება, არ გეყოფის, არ, ერთხელი“ [რუსთ. 663:2].

“a hundred times **must** thou give heed, once sufficeth not” [უორ. 645:2].

“A hundred times **must** you pay heed: this is the answer I have sought” [კოფ. 668:2].

“a hundred times **must** thou give heed, once sufficeth not” [კიზ. 645:2].

„სახელმწიფო საჯდომი და ტახტი **გმართებს**, სრაცა სრული“ [რუსთ. 632:4].

“A royal seat and throne **become** thee, a whole palace” [უორ. 615:4].

“A royal seat and a throne **become** you, a palace for your art” [კოფ. 638:4].

“A royal seat and throne **become** thee, a whole great palace” [კიზ. 615:4].

„დღეს ტახტი შენი შენ **გმართებს** მეტად ყოველთა დღეთასა“ [რუსთ. 1542:3].

“this day more than all days thy throne **befits** thee ” [უორ. 1518:3].

“This day more than any other, this throne **befits** you as was shown” [კოფ. 1549:3].

“this day more than all days thy throne **befits** thee ” [კიზ. 1518:3].

**მართებს** ზმნის შემთხვევაში ძირითადად სამივე თარგმანი მისდევს ერთმანეთს, ქართული მოდალური სემანტიკის მქონე ზმნა თარგმნილია ან შესაბამისი ინგლისური მოდალური ზმნით (**should, must**)<sup>6</sup> ან ლექსიკური ზმნური

<sup>6</sup> **should** – ვალდებულება, მართებულობა რეკომენდაციის, რჩევის ფორმით; **must** – ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

შესატყვისით (**befit, become**)<sup>7</sup>. გამონაკლისის სახით იშვიათად ღინ კოფინი მოდალური ზმნის ნაცვლად იყენებს ბრძანებითი კილოს შემცველ წინადადებას, რომელიც დეონტური სემანტიკის გამომხატველი ალტერნატიული საშუალებაა:

„აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლახი“ [რუსთ. 164:3].  
“If I come not hither in three years, then will it **beseem** thee to mourn and wear funeral garb”  
[უორ. 163:3].

“If I haven't come back in three years, don funeral garb and mourn” [კოფ. 169:3].

ძველსა და საშუალ ქართულში დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველად გვხვდება ზოგიერთ მარტივ ზმნათა ოდენ მე-3 პირის ფორმები. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამ ზმნათა შემთხვევაში დაწყებული უნდა იყოს დევერბალიზაციის, დეკატეგორიზაციის პროცესი, რასაც, როგორც წესი, მიყვავართ ფორმათა გრამატიკალიზაციამდე.

ძველსა და საშუალ ქართულში დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნათა მე-3 პირის ფორმათაგან გამორჩეულია **ეგების** მოდალური ფორმა. „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ეს ფორმა შესულია საწყისად და პირიან ზმნად და განმარტებულია ამგვარად: **გება** – შეძლება, ჯერ-ყოფა (აბულაძე: 1973); ნუთუ **ეგების** – შეიძლება (იმნაიშვილი: 1986); **გება** – შეიძლება, არ **ეგებოდა** – არ შეიძლებოდა (ყაუხჩიშვილი: 1959); არ **ეგების** – არ შეიძლება, არ იქნება, არა ჯერ არს (ქეგლ.)“ (შარაშენიძე: 2020, 82). **ეგების** ზმნა ძველ ქართულში VII საუკუნიდან დასტურდება და XIX საუკუნემდე აქტიურად გამოიყენება წერილობით ძეგლებში ვალდებულების, ბრძანება-აკრძალვის, ნებართვისა თუ ნების დაურთველობის მოდალური სემანტიკით. საყურადღებოა, რომ **გება** პირის მარტივი ზმნა ძველ ქართულშივე არ ავლენს, მე-3 პირის გარდა, სხვა პირის ფორმებს. თავად მე-3 პირის ფორმა კი მიდრეკილია მოდალურ ელემენტად ქცევისაკენ. დროთა განმავლობაში მან დაკარგა ზმნური ნიშნები, დაიცალა პირის გაგებისაგან და შეიძინა ნაწილაკის ფუნქცია (შარაშენიძე, 2010), თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ **ეგების** ფორმა ჯერ კიდევ ზმნური მნიშვნელობით გამოიყენება. „ვეფხისტყაოსანში“ **ეგების** ზმნის გამოყენების

<sup>7</sup> **befit** – შეშვენის, ეკადრება, შეეფერება (ვინმეს, რაიმეს ); **become** – შეჰფერის, შეშვენის, ეკადრება (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

შემთხვევები ხშირი და სემანტიკურად მრავალფეროვანია. კონტექსტების გათვალისწინებით პოემაში დასტურდება **შეფასების, მორალური ვალდებულების, რჩევის, უფლების უქონლობისა და შეუფერებლობის** დეონტური მოდალური მნიშვნელობები.

**შეფასების** დეონტური შინაარსის გამოსატვისას საინტერესო სურათი იკვეთება „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში. რიგ შემთხვევებში ყველა თარგმანი იყენებს ერთსა და იმავე ფორმას:

*„ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს“* [რუსთ. 1525:1].

*“How **could**<sup>8</sup> it be that man should not grant thee whatever thou desirest”* [უორ. 1501:1].

*“How **could it be** that whatever you desire, I should not grant?”* [კოფ. 1532:1].

*“How **could it be** that man should not grant thee whatever thou desirest”* [კიზ. 1501:1]

საქმე გვაქვს **შეფასების** პირდაპირ, ზუსტ თარგმანთან.

*„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“* [რუსთ. 540:4].

*“This **shall**<sup>9</sup> not be said, that the Persians hold sway in our court”* [უორ. 524:4].

*“This **shall not** be said allowed that the Persians (i.e. Khvarazmians) hold sway in our court”*  
[კიზ. 524:4].

*„ყოლა ჳირი არ ეგების, თუ-მცა ლხინმან არ დახდლია“* [რუსთ. 638:4].

*“grief **will**<sup>10</sup> not last for aye, shall not joy overcome it!”* [უორ. 621:4].

*“There is no grief which **will not** to exceeding joy open the door!”* [კოფ. 644:4].

*“There is no grief **will not** last for aye, shall jo not which won't be overcome by joy!”* [კიზ. 621:4].

მოცემულ მაგალითებში **კატეგორიული შეფასების** გადმოსაცემად თარგმანებში დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა.

ზოგიერთ კონტექსტში **შეფასების** დეონტური სემანტიკის მქონე **ეგების** ზმნას სხვადასხვა მთარგმნელი განსხვავებულად თარგმნის:

*„ყმამან თქვა, თუ: „არ ეგების, აწ ამისი ასრე თქმევა...“* [რუსთ. 243:1].

*“The knight said (to himself): “Thus **shall I not** make her speak”* [უორ. 239:1]

*“The knight thought: “Thus **I cannot** make her speak. I need to let her go”* [კოფ. 248:1].

<sup>8</sup> **could** – ობიექტური შესაძლებლობა; მორალური უფლების ქონა (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

<sup>9</sup> **shall** – ამა თუ იმ მოქმედების სასურველობას ან აუცილებლობას (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

<sup>10</sup> **will** – გამოსატავს გარდაუვალობას (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

თუ უორდრობისეულ თარგმანში შეფასება-კატეგორიულობის შინაარსი ორიგინალის ეკვივალენტურია, კოფინთან ამოსავალი ტექსტის მოდალური მნიშვნელობა იხრდილება.

„თუ იდუმალ არ შევუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების“ [რუსთ. 1388:4].

“A foe may not come up to it; if we may not go in privily, **it is impossible**<sup>11</sup> to engage openly”  
[უორ. 1364:4].

“We must go in furtively; we **cannot** engage them as a throng” [კოფ. 1395:4].

“if we may not go furtively in privily, **it is impossible** to engage openly” [კიზ. 1364:4].

კოფინისეულ თარგმანში ამ შემთხვევაშიც დახრდილულია შეფასებითობისა და კატეგორიულობის შინაარსი.

ზოგიერთ შემთხვევაში ეგების ზმნური ფორმით „ვეფხისტყაოსანში“ გამოსატულია მორალური ვალდებულების შინაარსი, თარგმანებში კი, როგორც წესი, დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა:

„აწ, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების“ [რუსთ. 739:1].

“Now, O king, for me existence lacking him is utterly **impossible**” [უორ. 721:1].

“Now, Oh King, existence without him is **impossible**, at best” [კოფ. 745:1].

“Now, O king, for me existence lacking him is utterly **impossible**” [კიზ. 721:1].

„ემამან უთხრა: „აღარ-წასლვა არ ეგების ჩემგან აროს“ [რუსთ. 767:1].

“The knight replied: “It is wholly **impossible** for me not to depart” [უორ. 749:1].

“The knight replied: “It is **impossible** for me not to depart” [კოფ. 775:1].

“The knight replied: “It is wholly **impossible** for me not to depart” [კიზ. 749:1].

„არ ეგების, ამას იქით თუ-მცა თავი არ გამონე“ [რუსთ. 253:2].

“It will not be that I shall not be thy servant” [უორ. 249:2].

“Because of your loving words, I’ll serve you, despite what you first did” [კოფ. 258:2].

მოცემული კონტექსტის შემთხვევაში მცირე განსხვავებით, მაგრამ თარგმანებში მაინც გამოსატულია მორალური ვალდებულება, რომელიც მომავალში გარდაუვლად უნდა შესრულდეს.

რჩევის, უფლების უქონლობა/შეუფერებლობის დეონტური მოდალური სემანტიკის თარგმნისას თითქმის ყოველთვის დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა:

<sup>11</sup> **impossible** – შეუძლებელი, შეუსრულებელი, მიუღებელი (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

„აჲ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“ [რუსთ. 1555:1].

“Now, O king, it is **not fitting**<sup>12</sup> that we should sit on a level with you!” [უორ. 1531:1].

“Nor, king, is it **fitting** we should sit on the same level as you!” [კოფ. 1562:1].

“Now, O king, it is **not fitting** that we should sit on a level with you!” [კიზ. 1531:1].

„ამას ვკადრებ, არ ეგების მარტოსავან წასლვა შენი“ [რუსთ. 1018:1].

“This I venture to tell thee: **It is not fitting** that thou go away alone” [უორ. 997:1].

“This I venture to say: **it is not fitting** that you go alone” [კოფ. 1026:1].

“This I venture to tell thee: **It is not fitting** that thou go away alone” [კიზ. 997:1].

კიდევ ერთი მოდალური ზმნა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირად გამოიყენება არის **ხამს** მესამე პირის ფორმით („ვამ- საჭირო“ (აბუ-ლაძე: 1973, 565); „ვამს – ჯერარს თუ მართებს“ (საბა: 1949, 472); „ხამს – ჯერარს, საჭიროა“ (ქეგლ.)). საბას განმარტებების თანახმად, **ხამს** ფორმა გამოსატავს **შეფასების, საჭიროების, შეგონებისა და ვალდებულების** დეონტურ მნიშვნელობებს. **შეფასების, საჭიროებისა და შეგონების** კონტექსტების შემთხვევაში ინგლისურ თარგმანებში დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა:

„**ხამს**, მეღეკსე ნაჭირვებსა / მისსა ცუდად არ აბრკობდეს“ [რუსთ. 18:1].

“The poet **must**<sup>13</sup> **not** spend his toil in vain” [უორ. 25:1].

“The poet **must not** squander song, nor spend his energy in vain” [კოფ. 18:1].

„**ხამს** მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში“ [რუსთ. 25:1].

“The lover **must** be constant, not lewd, impure and faithless” [უორ. 10:1].

“The lover **must** always be constant, always pure and never crude” [კოფ. 25:1].

იშვიათად გვაქვს განსხვავებულად თარგმნის შემთხვევებიც, მაგალითად, მოცემულ კონტექსტში უორდროპი პირობითი კილოს საშუალებით გადმოსცემს შინაარსს, რის გამოც საჭიროების სემანტიკა იწრდილება, კოფინთან კი საჭიროების გამომხატველი **need**<sup>14</sup> მოდალური ფორმა დასტურდება:

„**ხამს**, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს“ [რუსთ. 215:3].

“If a wise man would compass a difficult deed” [უორ. 212:3].

“He **needed** to approach the task at hand the way a wise man might” [კოფ. 220:3].

<sup>12</sup> **fit** – შესაბამისი, შესაფერისი (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

<sup>13</sup> **must** – ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

<sup>14</sup> **need** – საჭიროება (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).



„მიჯნურისა შებრალება **ხამს**, ესეცა გაიგონე“ [რუსთ. 247:2].

“it is **fitting** to pity the lover; understand thou this” [უორ. 243:2].

“Yet as a lover I can still claim your pity, is it not true?” [კოფ. 252:2]

მოცემულ სტრიქონში კოფინისეული თარგმანი სინონიმური მნიშვნელობის ფრაზით გადმოსცემს საჭიროების სემანტიკას.

რაც შეეხება **ვალდებულების** სემანტიკას, **ხამს** ზმნის ეკვივალენტად ყველა თარგმანში, როგორც წესი, გამოყენებულია **behoove** (მართებს, მოვალეა; შეშვენის, ეკადრება<sup>15</sup>) და **must** (ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა<sup>16</sup>) მოდალური ფორმები:

„გავიტანე ხათუნები, - მათი ჭმევა ჩემგან **ხამსა**“ [რუსთ. 1125:2].

“I took the ladies with me, it **behoved** me to entertain them” [უორ. 1103:2].

“I took the ladies (merchants wives) with me, it behooved me to entertain them”

[კიზ. 1103:2].

„მას ჩემთვის სულნი არ ჰშურდეს შეზღვა **ხამს** შეუზღველისა“ [რუსთ. 733:3].

“He would not grudge his life for me; what is due **must** be paid” [უორ. 715:3].

“What I owe him **must** be paid now: he told me of his life for free” [კოფ. 739:3].

“He would did not grudge telling the story of his life for to me; what is due **must** be paid; (i.e. I owe him courtesy)” [კიზ. 715:3].

**უნდა** ზმნა ერთ-ერთია იმ მოდალურ ფორმათაგან, რომელიც განიცდის გარკვეულ რეანალიზს და სურვილის სემანტიკის პირიანი ფორმების პარალელურად მესამე პირის ფორმით მოდალური ფუნქციითაც გამოიყენება (**უნდა** – მოდალური ფორმა. მორფემოიდი... რომელიც გამოხატავს ვალდებულებას, აუცილებლობას (ჯორბენაძე: 1988, 395). დეონტური მოდალური მნიშვნელობით **უნდა** ზმნა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“ **ვალდებულებისა** და **საჭიროების** სემანტიკის გამოხატვისას.

**ვალდებულების** გადმომცემი კონტექსტები:

„ასრე **უნდა** მოხმარება, გაჰვიდოდეს ვისცა ვისი“ [რუსთ. 773:3].

“Thus **should** service be, as much as lies in one's power” [უორ. 754:3].

“Thus **should** one help those who touch our hearts when suffering on them preys”

[კოფ. 781:3].

“Thus **should** one help those whose troubles touch his hear. service be as much as lies in one's power” [კიზ. 754:3].

<sup>15</sup> დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

<sup>16</sup> დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“ [რუსთ. 875:3].

“in grief one **should** strengthen himself like a stone wall” [უორ. 855:3].

“One **should** strengthen himself like a rock when he meets adversity” [კოფ. 844:3].

“in grief adversity one **should** strengthen himself like a stone wall” [კიზ. 855:3].

„რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასატრედად“ [რუსთ. 162:2].

“when a lover would roam the fields, alone he **must** wander” [უორ. 161:2].

“A lover **should** be alone when he decides to wander the field” [კოფ. 167:2].

როგორც წესი, ვალდებულების სემანტიკის გამოხატვისას ინგლისურ თარგმანებში უნდა მოდალურ ფორმას შეესატყვისება **should** (ვალდებულება, მართებულობა რეკომენდაციის, რჩევის ფორმით) და **must** (ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა)<sup>17</sup> ფორმები ვალდებულების სიმძიმის გათვალისწინებით.

საჭიროებისა და სასურველი მოქმედების გამოსახატავად **should** მოდალური ზმნის გარდა ინგლისურ თარგმანებში ვხვდებით **need** (საჭიროება)<sup>18</sup> მოდალურ ფორმასაც:

„მოვახსენე: აჩქარება შენი ყოლა არა უნდა“ [რუსთ. 609:2].

“I said to him: ‘There is **no need** at all for thee to hasten’” [უორ. 592:2].

“There is **no need** for you to hasten, or to feel the slightest dread” [კოფ. 615:2].

„ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“ [რუსთ. 773:3].

“When a man is in trouble then **needs** he brother and kinsman” [უორ. 754:3].

“A man turns to his brother and kinsman when he knows troubled days” [კოფ. 781:3]<sup>19</sup>

“When a man is in trouble then **needs** he brother and kinsman” [კიზ. 754:3].

„ხმობა უნდა ჯამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა“ [რუსთ.1142:3].

“A request **should** be timely, the making of every entreaty” [უორ. 1120:3].

“Questions **should** be timely - the plea entered and the answer begun” [კოფ. 1150:3].

“A request Questions **should** be timely, so that the plea is answered. making of every entreaty” [კიზ. 1120:3].

„ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენ თანა ხან-დაზმულია?“ [რუსთ. 1323:3].

“Why **should** he be praised who hath sojourned long with you?” [უორ. 1299:3].

<sup>17</sup> დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

<sup>18</sup> დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

<sup>19</sup> კოფინთან არ არის გამოყენებული მოდალური საშუალება.

*“But why **should** any be praised who has sojourned a long time with thee?”* [კოფ. 1331:3].

*“Why **should** he be praised who hath sojourned long with you?”* [კიზ. 1299:3].

მოცემული კონტექსტების მიხედვით ნათელია, რომ **უნდა** ზმნის დეონტური სემანტიკა ინგლისურ თარგმანებშიც ადეკვატურად გადმოიცემა.

საბოლოოდ, დეონტური მოდალობა როგორც სემანტიკური ჯგუფების, ისე გამომხატველი საშუალებების თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“, შესაბამისად, მრავალფეროვნება გვაქვს თარგმანებშიც, რომლებშიც, როგორც წესი, დეონტური მოდალური სემანტიკა სიღრმისეულად, ადეკვატურადაა გადმოცემული, ზოგჯერ ერთი და იმავე მოდალური ზმნებით, ზოგჯერ კი – სინონიმური ეკვივალენტებით. იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როდესაც მოდალური სემანტიკა თარგმანში იჩრდილება, ასეთი მაგალითები ჩვენს საკითხთან მიმართებით უფრო მეტია ლინ კოფინთან, ვიდრე უორდროპისეულ თარგმანში, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ უორდროპისეული თარგმანი პროზაულია და მთარგმნელი შედარებით უპრობლემოდ არჩევს ზუსტ კონტექსტუალურ ეკვივალენტს, ლინ კოფინი კი ცდილობდა სალექსო საზომის შენარჩუნებას, მაგრამ ზუსტი მოდალური ზმნისა ან კონსტრუქციის გამოყენება, სავარაუდოდ, ყოველთვის არ აძლევდა ამის საშუალებას, შესაბამისად, მთარგმნელი ირჩევდა კონკრეტული კონტექსტისათვის აზრის გამოსატყვის ალტერნატიულ საშუალებებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ქავთარაძე, ი. (1964). ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, 1964.
- ღამბაშიძე, მ. (2020). დოქტორანტის კოლოკვიუმი - მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები ძველსა და საშუალო ქართულში, 2020.
- ღამბაშიძე, მ. (2022). დოქტორანტის კოლოკვიუმი - დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი კონსტრუქციები ძველ ქართულ ენაში, 2022.
- შარაშენიძე, ნ. (2010). ზმნათა ფორმოზომობის და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, I სერიის ფორმათა ანალიზის მიხედვით, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010.
- შარაშენიძე, ნ. (2020). მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2020.

**Coates, J.** (1983): Coates, J., *The semantics of the modal auxiliaries*. London, 1983.

**Coffin, Lyn** (2015). Shota Rustaveli, *The Knight in the Panther Skin*. New Translation. Tbilisi, Publisher: Poezia Press, 2015.

**Han, Ch. Hye.** (2005): Han, Ch. Hye., *Deontic Modality, Lexical Aspect and the Semantics of Imperatives*. University of Pennsylvania, 2005

**Kiziria, Dodona.** (undated). *Vepkhistkaosani*. English translation. Electronic version.

**Lyons, J.** (1977): Lyons, J., *Semantics*. University of Cambridge. Publisher: Cambridge University Press, 1977.

**Palmer, F. R.** (1999): Palmer, F. R., *Modality and the English Modals*, (2.ed.), Longman, 1999.

**Portner, P.** (2009): Portner, P., *Modality*, Oxford university press, Oxford, 2009.

**Wardrop, Marjory Scott** (1912). *The Man in the Panther's Skin*. A Romantic Epic by Shotha Rustaveli. A Close Rendering from the Georgian. Preface by Oliver Wardrop. London.

## ლექსიკონები

**აბულაძე, ი.** (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

**ორბელიანი, ს.** (1949). სიტყვის კონა ქართული. რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის საერთო რედაქციითა და გამომცემლობით, საქართველოს სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.

**ქეგელ,** (1958). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით. თბილისი.

**ჯორბენაძე, ბ., კობახიძე, მ., ბერიძე, მ.** (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდულიური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისთვის). გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

**dictionary.ge** – დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

## The Rerendering of Verbs of Deontic Modal Semantics in English Translations of “The Knight in The Panther’s Skin”

(Based on the Translations of Marjory Wardrop, Lyn Coffin and Dodona Kiziria)<sup>20</sup>

Maguli Ghambashidze

Deontic semantics is one of the types of the category of modality which expresses the need for actions to be performed by morally responsible agents at the level of possibility (Lyons 1977: 823). F. R. Palmer considers deontic modality as “discourse-oriented” because, in the author’s view, deontic semantics implies both the speaker and the addressee at the same time (Palmer 1999: 36). In addition, the direct issuer of an obligation or permission in Deontic Modal Semantics sentences may not be the interlocutor at all. An obligation or permission may be related to another person, institution, law, moral code, etc. (Han 2005: 109).

Deontic modality is semantically very diverse. It implies various nuances such as order / prohibition, permission / disobedience, right / lack of right, obligation, persuasion, coercion, threat, request, warning, direction, instruction, advice, etc. (Lyons 1977; Coates 1983; Palmer 1999; Portner 2009).

According to the variety of deontic nuances, it is not surprising that languages have a number of grammatical and lexical means for expressing these semantics. In the Old Georgian language, special formations were used to convey various deontic contents with grammatical means: imperatives I and II, constructions created by different screeves, and particles. Among the lexical expressions of deontic meaning are both complex verb forms (*xel-ečipebis, zal-uzs/uc, žer-ars, zeda-ac, tana-ac*) and simple ones (*xams, šuenis, šehgavs, martebis, egebis, ġirs, uplied, šeužlia, šeižlebis/šeižleba, unda, evaleba*; Ghambashidze 2022: 6). At this stage, the subject of our research is the complex and simple verbs expressing deontic semantics in *The Knight in The Panther’s Skin* and their correspondences in the English translations of the epic.

Modality is a functional-semantic category that expresses the relation of the content of an expression to reality. Clearly, the expression of attitudes towards reality is more contextually found in the monuments of secular literature, which is headed in Georgian by the epic *The Knight in The Panther’s Skin*, not only with respect to the content but also from the linguistic point of view; a fact that has been repeatedly discussed in the scientific literature. Therefore, it was interesting for us to find out which modal verbs are attested in *The Knight in The Panther’s Skin* and how they are transmitted in English translations.

In general, forms of analytical and synthetic structure are equally used in both translated and original texts in Old Georgian (Kavtaradze 1964: 165). However, there is a tendency to replace analytical forms with synthetic ones. From the 10<sup>th</sup>–11<sup>th</sup> centuries onwards, analytical formations begin to be replaced by synthetic formations (Kavtaradze 1964: 162).

---

<sup>20</sup> The present research has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [PHDF-21-3543].

The preference for simple verb forms begins already in Old Georgian and the expressive power of complex verbs expressing modal semantics is gradually weakened in Middle Georgian (Ghambashidze 2020: 29). This is evidenced by the fact that in *The Knight in The Panther's Skin*, there is only one complex verb used to express deontic modal semantics and this is used only once:

*čven did-vačarta zeda-gvac darbazs miğeba zğvenisa* [Rustaveli 1122:1].

“We great merchants **are bound** to take presents to court” [Wardrop 1101:1].

“We great merchants **are bound** to take rich presents to the king and queen” [Coffin 1130:1].

“We great merchants **are bound** to take presents to court” [Kiziria 1100:1].

To match the Georgian complex verb (*zeda-gvac*), the English translations of *The Knight in The Panther's Skin* convey the deontic content descriptively. The big English-Georgian online dictionary<sup>21</sup> translates the participle *bound* by “valdebuli” (“obliged”, “imposed”),<sup>22</sup> so we are dealing with an adequate translation according to both form and content.

The process of substituting simple verbs continues and takes a very interesting look in Middle Georgian, which is reflected in the language of *The Knight in The Panther's Skin*. In the epic, we find different deontic modal semantics expressed by the different verbs:

#### Suitability/inadequacy:

##### *hšvenis*:

*Tu moq̄vare moq̄vrisatvis țirs, țirilsa emartlebis;*

*Siaruli, marțooba hšvenis, gačrad daetvlebis* [Rustaveli 31.2]

“If the lover weep for his beloved, tears are her (? his) due.

Wandering and solitude **befit** him, and must be esteemed as roaming” [Wardrop 31.2]

“If the lover cries and weeps for his love, tears are the lover’s due Solitude suits him, the roaming of plains and forests **suits** him, too” [Coffin 32.2]

##### *egebis*:

*Vit egebis, raca gčaddes, rome kaci ar moḡtmindes* [Rustaveli 1525.1]

“How **could it be** that man should not grant thee whatever thou desirest” [Wardrop 1501.1]

“How **could it be** that whatever you desire, I should not grant?” [Coffin 1532.1]

“How **could it be** that man should not grant thee whatever thou desirest” [Kiziria 1501.1]

#### Obligation:

##### *egebis*:

*q̄maman utxra: ‘Ağar-časvla ar egebis čemgan aros’* [Rustaveli 767.1]

“The knight replied: ‘It **is wholly impossible** for me not to depart’ [Wardrop 749.1]

“The knight replied: ‘It **is impossible** for me not to depart’ [Coffin 775.1]

“The knight replied: ‘It **is wholly impossible** for me not to depart’ [Kiziria 749.1]

##### *xams*:

*Mas čemtvis sulni ar hšurdes šezğva xams šezğvelisa* [Rustaveli 733.3]

“He would not grudge his life for me; what is due **must** be paid” [Wardrop 715.3]

“What I owe him **must** be paid now” [Coffin 739.3]

“what is due **must** be paid (i.e. I owe him courtesy)” [Kiziria 715.3]

<sup>21</sup> “Margaliti”, edited by Tinatin Margalitadze (<https://dictionary.ge/>).

<sup>22</sup> <https://dictionary.ge/en/word/bound%C2%B3/>.

**unda:**

*Asre unda moxmareba, gahvidodes visca visi* [Rustaveli 773.3]

“Thus **should** service be, as much as lies in one’s power” [Wardrop 754.3]

“Thus **should** one help those who touch our hearts when suffering on them preys”

[Coffin 781.3]

“Thus **should** one help those whose troubles touch his hear.

service be as much as lies in one's power” [Kiziria 754.3]

**Estimation:**

**egebis**

*Ese ambad ar egebis, rome sparsni gagvixasdnen* [Rustaveli 540.4]

“This **shall not** be said, that the Persians hold sway in our court” [Wardrop 524.4]

“This **shall not** be said allowed that the Persians (i.e. Khvarazmians) hold sway in our court”

[Kiziria 524.4]

**xams:**

*xams mižnuri xanieri, ar mezavi, bilči, mruši* [Rustaveli 25.1]

“The lover **must** be constant, not lewd, impure and faithless” [Wardrop 10.1]

“The lover **must** always be constant, always pure and never crude” [Coffin 25.1]

**Need:**

**xams:**

*xams, tu kaçman gonierman zneli sakme gamoagos* [Rustaveli 215.3]

“If a wise man would compass a difficult deed” [Wardrop 212.3]

“He **needed** to approach the task at hand the way a wise man might” [Coffin 220.3]

**unda:**

*Odes kaçsa daečiros, mašin unda zma da tvisi* [Rustaveli 773.3].

“When a man is in trouble then **needs** he brother and kinsman” [Wardrop 754.3].

“A man turns to his brother and kinsman when he knows troubled days” [Coffin 781.3]

“When a man is in trouble then **needs** he brother and kinsman” [Kiziria 754.3].

To sum up, deontic modality has quite diverse semantics and means of expression in *The Knight in The Panther’s Skin*, so we gain a variety of translations in which, as a rule, deontic modal semantics are adequately conveyed, sometimes with the same modal verbs, sometimes with synonymous equivalents. We rarely find cases where modal semantics are overshadowed in a translation; such examples are met with in Lyn Coffin’s rather than Marjorie Wardrop’s translation. This may be caused by the fact that Wardrop’s translation is prosaic and the translator chooses an exact contextual equivalent without any problem; Lyn Coffin, however, even tries to maintain the textual measures, but using the exact modal verb or construction probably does not always allow her to do so. Accordingly, the translator chooses alternative means of expression for particular contexts.